

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2021 წელი

**ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის  
ღვინის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ღვინის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





X=4617673 Y=486905

J. Gogobal

X=487172 Y=4617774

1:1,500





19/032104 15-03

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბ/ნ გიორგი ტყემალაძეს  
თბილისი ვაზისუბნის მე-40-ე საჯარო სკოლის  
მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები  
მოქალაქეების

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვცხოვრობთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, სადაც ჩვენი საცხოვრებელი სახლები მდებარეობს უსახელო ქუჩაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ ქუჩას მიაწიკოთ სახელი. სასურველია ჩვენი ჩართულობა ამ პროცესში. ასევე გვაქვს რამდენიმე ვერსია: 1) კათოლიკოს ამბროსი ხელაია, 2) ქისი-ქართული ვაზის ჯიში, 3) გეტსემანია-ადგილი ზეთის ხილის მთის ძირას, 4) ამბიონი-«ასვლა», 5) ღვინის ქ.

პატივისცემით მითითებულ მისამართზე მცხოვრები მოქალაქეები:

საკრებულო პიჩი

1. დათა ნაჭყებია
2. სოფიკო ბასა
3. ზურაბ სპანდერაშვილი 3/6
4. ქეთევანი დევდარიანი 3/6
5. პაატა ჩაფიძე 3/6
6. ირაკლი არზიანი 3/6
7. ეკატერინე კაკაურიძე 3/6
8. თეიმურაზ ჯავახიშვილი 3/6
9. ნათია ჯავახიშვილი 3/6
10. გიორგი ჯავახიშვილი 3/6
11. მანანა წიქარიძე 3/6
12. ანზორ ღვინიაშვილი 3/6
13. შალვა მელაძე 3/6
14. ლაურა ერაძე 3/6
15. ამირან ფანჭულიძე 3/6
16. გიორგი ესებუა 3/6
17. დავით ზონია 3/6

საკრებულო პიჩი



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY



წერილის ნომერი: 03-032107075  
თარიღი: 11/03/2021  
პინი: 2694

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული  
პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების  
სააგენტო  
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე დათა ნაჭყებიას 2021 წლის 10 თებერვლის საქმე #19/03210415-03 დაკავშირებით, რომელიც მოსახლეობის ერთობლივი განცხადების საფუძველზე ითხოვს ვაჭისუბანში, უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.  
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.  
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი







ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სამართლის იურიდიული კირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 16-01210773528  
თარიღი: 18/03/2021  
პინი: 6006

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 11.03.2021 წლის #03-032107075 (11.03.2021წ. #14-01210703103-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

